



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე

აპრილი, 2016



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია  
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

## 2015 წელს რეალური მშპ 2.8%-ით გაიზარდა

წინასწარი შეფასებით, 2015 წელს საქართველოს მშპ-მა 31 691.6 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მშპ-ის რეალური ზრდა 2.8% იყო<sup>1</sup>. 2016 წელს 3%-იანი ზრდა არის ნაგარაუდები. თუმცა, მიმდინარე წელი ეკონომიკის დაბალი ზრდის ტემპით დაიწყო - საქსტატის ინფორმაციით იანვარ-თებერვლის რეალური მშპ-ის საშუალო ზრდა 1.7% იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2016 წელს წმინდა ექსპორტის უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე შედარებით ნაკლები იქნება ვიდრე 2015 წელს. ეკონომიკის ზრდას ასევე ხელს შეუწყობს სტაბილური მონეტარული პოლიტიკა, რაც დაკრედიტების გაზრდაზე აისახება და საბოლოოდ ინვესტიციებისა და შიდა მოხმარების ზრდას გამოიწვევს. თუმცა, თუ რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური არასტაბილურობა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური კრიზისი გადრეკილია, ექსპორტი და ფულადი გზავნილები შემცირდება და, შედეგად, მშპ-ის რეალური ზრდა მოსალოდნელზე დაბალი იქნება.

### ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	2014	2015*	ცვლილება
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. GEL)	29 150.5	31 691.6	8.7%
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. USD)	16 507.8	13 959.9	-15.4%
მშპ ერთ სულზე (GEL) <sup>2</sup>	6 491.6	8 497.5	30.9%
მშპ ერთ სულზე (USD)	3 676.2	3 743.1	1.8%
<b>მშპ-ის რეალური ზრდა (%)</b>	<b>4.6%</b>	<b>2.8%</b>	


\*წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

2015 წლის მონაცემებით, ყველაზე დიდი რეალური ზრდა სამთომოპოვებით მრეწველობასა (21%) და მშენებლობის სექტორში (15.2%) იყო, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობა მნიშვნელოვანი (-4.9%)

კლებით გამოირჩეოდა. მთლიანი გამოშვების თითქმის მეოთხედი მრეწველობაზე მოდიოდა (24.6%). მეორე და მესამე ადგილს კი ვაჭრობა (12.4%) და მშენებლობა (11.3%) იკავებდა.

გრაფიკი 1: სექტორების რეალური ზრდა




წყარო: საქსტატი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის თანახმად, 2015 წელს გლობალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 3.1% შეადგინა, ხოლო 2016 წელს 3.4%-იან და 2017 წელს 3.6%-იან ზრდას უნდა მოველოდეთ. გლობალური ეკონომიკის შედარებით დაბალ, 2016 წელს 2.9%, ხოლო 2017 წელს 3.1%-იან ზრდას პროგნოზირებს მსოფლიო ბანკი.

1 2015 წლის მონაცემები 2016 წლის ნოემბერში დაზუსტდება.

2 2015 წელს ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. 2014 წლის მაჩვენებლებში გამოყენებულია აღწერამდელი დემოგრაფიული მონაცემები. წინა წლების მოსახლეობის რიცხოვნობა, აღწერის მონაცემების გათვალისწინებით, დაზუსტდება 2016 წელს, რაც გამოიწვევს ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების დინამიკური მწკრივების დაზუსტებას 2003-2014 წლების მიხედვით.


**გრაფიკი 2:** მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა



\* ნინასწარი შეფასება  
\*\* Europe and Central Asia

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, IMF, World Bank და OECD

**გრაფიკი 3:** 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ ვალუტის აშშ დოლარის მიმართ გაცვლითი კურსის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი აშშ დოლარის მიმართ მყარდება

2016 წლის მარტში ლარის აშშ დოლარის მიმართ საშუალო ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა 2.39 შეადგინა და თვის განმავლობაში 4.2%-ით გამყარდა. გასული წლის განმავლობაში ლარი აშშ დოლარის მიმართ უფასურდებოდა და გაცვლითი კურსი აღმავალ ტრენდს ინარჩუნებდა. ლარი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებას თებერვალშიც განაგრძობდა და გაცვლითმა კურსმა 2.5-ს მიაღწია. მარტის შუა რიცხვებში ლარმა მკვეთრი გამყარება დაიწყო. 16 მარტს ლარი აშშ დოლარის მიმართ წინა დღის კურსთან შედარებით 6 თეთრით გამყარდა. მკვეთრი რყევის დასაბალანსებლად, 17 და 22 მარტს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 მლნ. და 10 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა სავალუტო ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ბანკმა 2014 წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის თებერვლამდე 14-ჯერ ივაჭრა სავალუტო ბაზარზე და 426 960 000 აშშ დოლარი გაყიდა, დოლარი კი არ შეუსყიდა.

## საბარეო ვაჭრობის დეფიციტი მცირდება

2016 წლის იანვარ-თებერვალში, ნინასწარი შეფასებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1 413 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. თებერვალში ექსპორტმა 158.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის თებერვალთან შედარებით 5.1%-ით არის შემცირებული. იმპორტი კი თებერვალში მიღებული C ჰეპატიტის წამლების ღირებულების გამოკლებით<sup>3</sup> 515 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და წლიურად 11%-ით შემცირდა. შედეგად, თებერვლის თვეში საგარეო ვაჭრობის დეფიციტი<sup>4</sup> 2015 წლის თებერვალთან შედარებით 13.5%-ით არის შემცირებული.

3 2016 წლის თებერვალში C ჰეპატიტის წამლების იმპორტმა 208 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.


4 C ჰეპატიტის წამლების იმპორტის გამოკლებით

რაც შეეხება 2015 წელს, წინასწარი მონაცემებით, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 2014 წელთან შედარებით 13%-ით შემცირდა და 9 928 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 2 204 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 7 724 მლნ. აშშ დოლარი იყო, თუმცა C ჰეპატიტის წამლების ღირებულების გამოკლებით 2015 წლის იმპორტის მაჩვენებელი 7.3 მლრდ. აშშ დოლარს უტოლდება, რაც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით ნაკლებია. საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის

32% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, რაც 2014 წელთან შედარებით 6%-ით (3.2 მლრდ. აშშ დოლარი) არის გაზრდილი. დსთ-ის ქვეყნებთან ვაჭრობამ კი მთლიანი ბრუნვის 28% შეადგინა.


მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად არის შემცირებული ექსპორტი (-22%) და იმპორტი (-23%) თურქეთში, იგი მაინც საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი ბრუნვით.

გრაფიკი 4: საგარეო ვაჭრობა (მლნ. USD)




წყარო: საქსტატი

გრაფიკი 5: ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (მლნ. USD), 2015 წელი



გრაფიკი 6: საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი USD), 2015 წელი



წყარო: საქსტატი


### პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის

წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1 351 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა<sup>5</sup>, რაც 23%-ით ნაკლებია 2014 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე. 2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი, 1 მლრდ. აშშ დოლარი სააქციო კაპიტალში განხორციელდა, ხოლო დაახლოებით 300 მლნ. აშშ დოლარი რეინვესტიცია იყო. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია (40.1%). აზერბაიჯანიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 2014 წელთან შედარებით 200 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 542 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების ¾-ზე მეტი შეადგინა.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (44%) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა. 2014 წელთან შედარებით ამ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები 160 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი. ენერჯეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები კი 2014 წელთან შედარებით 100 მლნ. აშშ დოლარით არის შემცირებული და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 7%-ს შეადგენს.

2015 წელს ინვესტიციები შემცირდა 10 უმსხვილესი დარგიდან 5-ში: მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროებისა და რესტორნის სექტორი, ენერჯეტიკა და უძრავი ქონება.

**გრაფიკი 7:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (მლნ. USD)



**გრაფიკი 8:** ქვეყნების წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. 2015 წელი




<sup>5</sup> 2015 წლის დაზუსტებულ მონაცემებს საქსტატი 2016 წლის 15 აგვისტოს გამოაქვეყნებს.

### თებერვალში ფულადი გზავნილები 13.3 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა

2016 წლის პირველ ორ თვეში საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 146.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის პირველი ორი თვის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია. თუმცა, თებერვლის თვეში მიღებული ფულადი გზავნილები იანვრის თვესთან შედარებით 13.3 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი და მხოლოდ 2.6%-ით ჩამორჩება წინა წლის თებერვლის მაჩვენებელს.

2015 წელს საქართველოში სულ 1 080 მლნ. აშშ დოლარი შემოვიდა ფულადი გზავნილების სახით და ამ გზავნილების 40% რუსეთიდან ჩაირიცხა.

**გრაფიკი 9:** მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (ათასი USD)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 2016 წლის მარტში საქრთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 17%-ით არის გაზრდილი

2016 წლის პირველ სამ თვეში საქართველოში 1 134 ათასი საერთაშორისო მოგზაური ჩამოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.7%-ით მეტია. აქედან 451 ათასი მოგზაური მარტში ჩამოვიდა. აღსანიშნავია, რომ მარტში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა წლიურად 16.7%-ით გაიზარდა. ყველაზე მეტი მოგზაური აზერბაიჯანიდან (29.2%), თურქეთიდან (22.8%) და სომხეთიდან (21.1%) ჩამოვიდა. ხოლო ირანიდან შემოსულ მოგზაურთა რაოდენობა მიმდინარე წლის მარტში წინა წლის მარტთან შედარებით 12.5 ათასით არის გაზრდილი.

2015 წელს საქართველოს სულ 5.9 მლნ. საერთაშორისო მოგზაური ეწვია. მათი 85% საქართველოში სახმელეთო გზით შემოვიდა, ხოლო 13% საჰაერო გზით.


### ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ დონეს ჩამოსცდა

2016 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 4.1% შეადგინა და წინა თვეებისაგან განსხვავებით ინფლაციის მიზნობრივ დონეს (5%) მნიშვნელოვნად ჩამოსცდა. საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, წლის დასაწყისში ინფლაციის მაჩვენებელი მის სამიზნე დონეზე მაღალი იქნებოდა, ხოლო შემდეგ შემცირდებოდა და სამიზნე დონეს ჩამოსცდებოდა. პროგნოზის თანახმად, 2016 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივი დონის ფარგლებში იქნება. მაგრამ, თუ რეგიონში არსებული ეკონომიკური კრიზისი უფრო მეტად გაღრმავდა, მაშინ ინფლაცია შედარებით მაღალი იქნება (დაახლოებით 0.5%-ით მეტი).

მარტის თვეში წლიურ ინფლაციაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ფასების მატებამ (10.2%). ამ ჯგუფში განსაკუთრებით სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მონყობილობების ფასებია გაზრდილი (18.7%). 20%-ით არის მომატებული თამბაქოს ნაწარმის ფასები, ხოლო ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასების საერთო დონე 14%-ით არის გაზრდილი. სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასებს კი წლიური 2.3%-იანი ზრდა აქვს.

საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, პირველ კვარტალში ინფლაციის ზრდას და მიზნობრივი დონიდან გადახრას გაზრდილი შუალედური ხარჯები, იმპორტირებული ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინები განაპირობებს. მომდევნო კვარტლებში კი მოლოდინები ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივი დონიდან გადახრას აღარ გამოიწვევს. ასევე, წლის მეორე ნახევარში იმპორტირებული ინფლაციის წილი წლიურ ინფლაციაში უმნიშვნელო იქნება.

**გრაფიკი 10:** სამომხმარებლო ფასების პროცენტული ცვლილება 2016 წლის მარტში



წყარო: საქსტატი

### საწარმოთა ბრუნვა გაზრდილია

2016 წლის თებერვალში დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა 4 032.4 მლნ. ლარით (10.4%) არის გაზრდილი წინა წლის თებერვალთან შედარებით. 2015 წლის ოთხ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვამ ჯამურად 52.9 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 2.8 მლრდ. ლარით აღემატება 2014 წლის ბრუნვის მოცულობას. გასული წლის განმავლობაში ბრუნვა გაზრდილია მცირე ზომის საწარმოებში 6.9%-ით, საშუალო ზომის საწარმოებში 6.4%-ით, ხოლო მსხვილ საწარმოებში 5.3%-ით.

საწარმოების პროდუქციის გამოშვება 2015 წლის ოთხ კვარტალში 27 მლრდ. ლარს უტოლდება, რაც 2014 წლის გამოშვებას 3.6%-ით (943 მლნ. ლარით) აღემატება. მსხვილი საწარმოების გამოშვება 900 მლნ. ლარით არის გაზრდილი და 21.8 მლრდ. ლარს შეადგენს. გამოშვება შემცირებულია სოფლის მეურნეობის (-8.2%) და მრეწველობის სექტორებში (-3.7%), მაგრამ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სექტორში გამოშვება როგორც პროცენტულად, ისე თანხობრივად ყველა სხვა სექტორზე მეტად არის შემცირებული (-28%).




## სამრეწველო პროდუქციის ინდექსი მატულობს

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გვიჩვენებს წარმოებული საქონლის ფასების<sup>6</sup> საშუალო დონის ცვლილებას. 2016 წლის თებერვალში იანვართან შედარებით სამრეწველო პროდუქციის ინდექსი 1.1%-ით გაიზარდა, ხოლო წინა წლის თებერვალთან შედარებით 3.9%-ით.

ინდექსის წლიურ 3.9%-იან ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების ფასების ზრდამ (19.4%). ბოლო ერთი წლის განმავლობაში 25.5%-ით არის გაზრდილი ქიმიური წარმოების ფასები, 4%-ით არის გაძვირებული საკვების, სასმელებისა და თამბაქოს წარმოება. დამამუშავებელ მრეწველობაში ფასების საერთო დონის 1.8%-იანი ზრდა მოხდა, ხოლო მეტალურგიულ მრეწველობაში წარმოების ფასები 14.3%-ით არის შემცირებული.

**გრაფიკი 11:** სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატ<sup>6</sup>

6 ინდექსის გამოთვლისას ფასში არ გაითვალისწინება დღე, აქციზი და ტრანსპორტირების ხარჯი.

### ბიბლიოგრაფია

- საქართველოს ეროვნული ბანკი. თვის მიმოხილვა. თებერვალი 2016.
- საქართველოს ეროვნული ბანკი. ინფლაციის მიმოხილვა. თებერვალი 2016.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება. იანვარი 2016.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. პირდაპირი ინვესტიციები, IV კვარტალი. 2015.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, იანვარი-თებერვალი. 2016.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2015.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მოქალაქის გზამკვლევი. დეკემბერი 2015.
- IMF. World Economic Outlook (Update). January 2016.
- OECD. Real GDP Forecast. 2016.
- World Bank Group. Global Economic Prospects. January 2016.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.